<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლების XI ქუჩისთვის გენერალ-მაიორის დავით მაისურაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლების XI ქუჩას მიენიჭოს გენერალ-მაიორის დავით მაისურაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X:489558 Y:4615688
X:489598 Y:4615492
X:489621 Y:4615366
X:489618 Y:4615275
რუბანოვ ხუბლეულის ქ.
პალიაშვანის ქ.
N
1:2,500

დავით მაისურაძე

(1936-1993)

გენერალ-მაიორი, დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

დაიბადა ონის რაიონის სოფელ წედისში. 1954 წელს დაამთავრა სოფელ წედისის საშუალო სკოლა. 1954-1957 წლებში სწავლობდა თბილისის სამხედრო სასწავლებელში. 1959 წელს დამთავრა ქალაქ ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიის დაზვერვის ფაკულტეტი.

1957-1962 წლებში მსახურობდა ოცმეთაურად, 1962-1964 წლებში ასმეთაურად. 1964-1966 წლებში მსახურობდა სადაზვერვო ასეულის მეთაურად. 1969-1971 წლებში მსახურობდა მოტომსროლელი დივიზიის დაზვერვის უფროსად. 1971-1972 წლებში მსახურობდა მოტომსროლელი დივიზიის შტაბის დაზვერვის სამმართველოს უფროსად.

1972-1977 წლებში მსახურობდა შუა აზიის სამხედრო ოლქის შტაბის სადაზვერვო სამმართველოს I განყოფილების უფროსად.

1977-1979 წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სადაზვერვო სამმართველოს I განყოფილების უფროსად.

1979-1984 წლებში მსახურობდა ჯარების ცენტრალური ჯგუფის შტაბის დაზვერვის უფროსის მოადგილედ.

1984-1987 წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის დაზვერვის უფროსის მოადგილედ.

1987 წელს გადავიდა თადარიგში პოლკოვნიკის წოდებით.

1991-1992 წლებში მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1992-1993 წლებში მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის დაზვერვის უფროსად.

1993 წელს დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსად.

სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.

ადრესატი:

ეთერი მაჭარაშვილი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

წერილის ნომერი:**03-03221444**
თარიღი: **24/05/2022**

გთხოვთ, შემდგომი საქმისწარმოების პროცესის გაგრძელების მიზნით მერიის შესაბამისი სამსახურიდან გამოითხოვოთ აეროდრომის დასახლებაში არსებული რიგი ქუჩების სიტუაციური ნახაზები, დანართის შესაბამისად.

მამუკა ბალიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-პირველადი სტრუქტურული ერთეული (აპარატი)-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო-მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)

წერილის ნომერი: **03-032214730**
თარიღი: **27/05/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

როგორც მოგეხსენებათ, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია განიხილვს ინიციატივას აეროდრომის დასახლებაში არსებული რიგი ქუჩების სახელდების შესახებ.
საქმისწარმოების პროცესის გაგრძელების მიზნით, მოგმართავთ თხოვნით, გამოგვიგზავნოთ აეროდრომის დასახლებაში არსებული ქუჩების სიტუაციური ნახაზები დანართის შესაბამისად.

დანართი (5 ხუთი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01221513432**
თარიღი: **31/05/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 27.05.2022 წლის #03-032214730 (27.05.2022წ. #14-01221473231-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. 4 დანართი)

ოთარ ჩიტიძე

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ა (ა) იპ საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოება
NPLE Georgian Military Historical Society

საქართველო, ქ.თბილისი
ნუცუბიძის ფერდობი, მე-III მ/რ., მე-II კვარტ., მე-IX კორპ., ბ.44
Georgia, Tbilisi

Nutsubidze plateau, III-rd f / r., II-nd quart., IX-th build., r.44
☎: +995 595 85 32 13;
E-mail: gigitidze.mambo@gmail.com

---

17 .01.2022 1/02

ქ.თბილისის საკრებულოს
თავმჯდომარეს
ბატონ **გიორგი ტყემალაძეს**

ბატონო გიორგი!

საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს წარმოადგენს დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო მოღვაწეების სახელების უკვდავყოფაც. შემოვდივარ წინადადებით, თბილისის უსახელო ქუჩებს მიენიჭოს დამოუკიდებელი საქართველოს შემდეგი სამხედრო მოღვაწეების სახელები:

1. **ზურაბ ნაირაშვილი** (1941-1993), გენერალ-მაიორი;
2. **დავით მაისურაძე** (1936-1993), გენერალ-მაიორი;
3. **ჯემალ გოგიტიძე** (1933-1996), იუსტიციის პოლკოვნიკი;

დანართი 4 (ოთხ) გვერდზე.

საქართველოს სამხედრო ისტორიის
საზოგადოების თავმჯდომარე,
ისტორიის დოქტორი, პროფესორი მ.გოგიტიძე

დანართი

ქართველ სამხედრო მოღვაწეთა ბიოგრაფიული მონაცემები, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართული ჯარის მშენებლობის საქმეში:



ზურაბ შალვას-ძე ნაირაშვილი
(04.02.1941-31.10.1993)
გენერალ-მაიორი **(1993)**

დაიბადა ქ.თბილისში.

1960 წელს დაამთავრა თბილისის № 45-ე საშუალო სკოლა,

1967 წელს დაამთავრა ნოვოჩერკასკის საშუალო სამხედრო-პოლიტიკური სასწავლებელი და 1975 წელს ოფიცერთა უმაღლესი კურსები «ვისტრელ»-ი მოსკოვში.

1967-1970 წლებში მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში ასეულის მეთაურის მოადგილედ.

1970-1975 წლებში მსახურობდა საბჭოთა ჯარების ჯგუფში გერმანიაში, ბატალიონის მეთაურის მოადგილედ.

1976-1978 წლებში მსახურობდა შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქში, პოლკის მეთაურის მოადგილედ.

1978-1986 წლებში მსახურობდა შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქის სასწავლო ცენტრის უფროსად.

1986-1989 წლებში მსახურობდა საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატის სისტემაში-ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის სამხედრო კომისრის მოადგილედ - 1-ი განყოფილების უფროსად.

1989 წელს აქტიურად ჩაერთო ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. ეროვნული გვარდიის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანია.

1989-1990 წლებში მსახურობდა ეროვნული გვარდიის სამხედრო კონსულტანტად.

1990-1991 წლებში მსახურობდა ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს საბრძოლო მომზადების განყოფილების უფროსად.

1991-1992 წლებში მსახურობდა ეროვნული გვარდიის შტაბის უფროსად.

1992 წლის აპრილში დაინიშნა ეროვნული გვარდიის (სწრაფი რეაგირების კორპუსის) ძალების სარდლის მოადგილედ.

1993 წლის მაისში დაინიშნა სამხედრო-საჰაერო და ჰაერსაწინაღო თავდაცვის ძალების პირველ სარდლად.

აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობისათვის წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში. არაერთხელ იქნა მძიმედ დაჭრილი. ერთ-ერთი სამხედრო ოპერაციის მსვლელობისას, დასავლეთ საქართველოს რეგიონში, დაიღუპა ბრძოლის ველზე.
მიღებული ჰქონდა სახელმწიფო ჯილდოები.
დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

(დაიღუპა 28 წლის წინ)

დავით ესტატეს-ძე მაისურაძე
(10.01.1936-10.06.1993)
გენერალ-მაიორი **(15.02.1993)**

დაიბადა ონის რაიონის სოფელ წედისში.

1954 წელს დაამთავრა სოფელ წედისის საშუალო სკოლა.

1954-1957 წწ. სწავლობდა თბილისის სამხედრო სასწავლებელში.

1969 წელს დაამთავრა ფრუნზეს სახ. სამხედრო აკადემიის დაზვერვის ფაკულტეტი.

1957-1962 წწ.მსახურობდა ოცმეთაურად.

1962-1964 წწ. მსახურობდა ასმეთაურად.

1964-1966 წწ. მსახურობდა სადაზვერვო ასეულის მეთაურად.

1969-1971 წწ. მსახურობდა მოტომსროლელი დივიზიის დაზვერვის უფროსად.

1971-1972 წწ. მსახურობდა მოტომსროლელი დივიზიის შტაბის დაზვერვის სამმართველოს უფროსად.

1972-1977 წწ. მსახურობდა შუა აზიის სამხედრო ოლქის შტაბის სადაზვერვო სამმართველოს 1-ი განყოფილების უფროსად.

1977-1979 წწ. მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის სადაზვერვო სამმართველოს 1-ი განყოფილების უფროსად.

1979-1984 წწ. მსახურობდა ჯარების ცენტრალური ჯგუფის შტაბის (ჩეხოსლოვაკია) დაზვერვის უფროსის მოადგილედ.

1984 –1987 წწ. მსახურობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის დაზვერვის უფროსის მოადგილედ.

1987 წელს გავიდა თადარიგში პოლკოვნიკის წოდებით.

1991 –1992 წწ. მსახურობდა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1992 –1993 წწ. მსახურობდა საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის დაზვერვის უფროსად.

1993 წ. - დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსად.

დაჯილდოვებულია ,,ვახტანგ გორგასლის,, მე-III ხარ. ორდენით (სიკვდ.შემდ. -1993)

გარდაიცვალა თბილისში, დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.

(გარდაიცვალა 28 წლის წინ)

ჯემალ ნიკოლოზის-ძე გოგიტიძე
(07.04.1933-23.11.1996)
იუსტიციის პოლკოვნიკი **(17.02.1978)**
იუსტიციის უფროსი მრჩეველი **(27.07.1989)**

ეროვნული სამხედრო პროკურატურის ფუძემდებელი და გენერალური პროკურორის მოადგილე 1991 წელს;

დაიბადა ქ.ტფილისში.

1952-55 წლებში სწავლობდა თბილისის ქვეით სასწავლებელში.

1955-1965 წლებში მსახურობდა ოცმეთაურად, ასეულის მეთაურის მოადგილედ, ასმეთაურად.

1960-1966 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (საღამოს დასწრებულზე)

1965-1988 წლებში მსახურობდა სამხედრო იუსტიციის სისტემაში . მსახურობდა სამხედრო გამომძიებლად, უფროს გამომძიებლად, თბილისის

გარნიზონის პროკურორის თანაშემწედ, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურორის თანაშემწედ,

1975-1988 წლებში მსახურობდა თბილისის გარნიზონის სამხედრო პროკურორად. ამ პროკურატურის ისტორიაში იყო პირველი ქართველი ეროვნების სამხედრო პროკურორი.

1988 წელს გავიდა თადარიგში.

1989 წელს წარდგენილი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის პოსტზე დასანიშნად.

1989 წელს დაინიშნა გენერალური პროკურორის თანაშემწედ განსაკუთრებულ დავალებათა დარგში.

1989-1990 წლებში მუშაობდა მარნეულის რაიონის პროკურორად

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ზ.გამსახურდიას და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თ.სიგუას № 107 დადგენილებით 1991 წლის 15 თებერვალს დაინიშნა მუდმივი გაერთიანებული სამხედრო საბჭოს სამხედრო სპეციალისტ-ექსპერტად.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 1991 წლის 9 აპრილის რეკომენდაციით, 1991 წლის 29 მაისს დაინიშნა გენერალური პროკურორის მოადგილედ-შინაგან ჯარებში-ეროვნულ გვარდიაში კანონების შესრულებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსად **(მთავარი სამხედრო პროკურორის უფლებებით).** ეროვნული სამხედრო პროკურატურის ფუძემდებელი;

1988 წლის 1 თებერვალს პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის დაჯილდოებულია **,,პროკურატურის საპატიო მუშაკის,,** სამკერდე ნიშნით.

კანონიერების განსამტკიცებლად ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიანიჭა მას **1988 წლის 11 ნოემბერს საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის წოდება.**

დაჯილდოებული იყო ,,წითელი ვარსკვლავის,, (1987) ორდენით.

გარდაიცვალა და დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

(გარდაიცვალა 25 წლის წინ)